



MES 2 24 0000046029



18/01/2024

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 28. 12. 2023

სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:09 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღალანძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
14. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
16. **ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
17. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
18. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ანი ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ანა ჟორჟოლიანი	სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია	რექტორი მოწვეული სპეციალისტი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში	I
2	ლიანა ხორბალაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I
3	ბეჟან ნამგლაძე		ასოცირებული პროფესორი (კლავიშოანი საკრავები)	I
4	ქეთევან ელიავა		ასოცირებული პროფესორი (სოლო აკადემიური სიმღერა, საოპერო მომზადება)	I
5	მერი ჟვანია		ასოცირებული პროფესორი (საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები)	I
6	თამარ ბულია		ასოცირებული პროფესორი (საორკესტრო სიმებიანი საკრავები)	I
7	ლიანა ჭონიშვილი		ასოცირებული პროფესორი (აკადემიური გუნდის დირიჟორობა)	I
8	ზურაბ რამიშვილი		ასოცირებული პროფესორი (ჯაზის ხელოვნება)	I
9	სოფო მურუსიძე		ასოცირებული პროფესორი (ჯაზის ხელოვნება)	I
10	ყარამან ქუთათელაძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	რექტორი	II
11	გია იაშვილი		დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, მხატვრული კერამიკის პროგრამის ხელმძღვანელი	II
12	ნინო მგალობლიშვილი		პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის	II

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
13	თინათინ კლდიაშვილი		პრორექტორი, ტექსტილის დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელი	II
14	ჯუმბერ ბეჭვია		ასოცირებული პროფესორი, სამრეწველო დიზაინის პროგრამების ხელმძღვანელი	II
15	სვეტლანა მხჩიანი		ასოცირებული პროფესორი	II
16	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
17	თეონა ბერიძე		ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
18	ივდით დიასამიძე		სოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
19	ინგა შამილიშვილი		პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ჟურნალისტიკა" ხელმძღვანელი	III
20	ნინა ივანიშვილი	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის დეკანი	IV
21	ელენე ასათიანი		აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	IV
22	სოსო დუმბაძე		აუდიოვიზუალური ხელოვნების	IV

		საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	
26	ნინო ორჯონიკიძე	ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის პროფესორი	IV
27	დავით წასიძე	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
28	ნიკა გიგაური	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	IV
29	გიორგი ტომარაძე	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
30	ნინო ქოჩიაშვილი	აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი	IV
31	თამთა თვალავაძე	ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ელენ ელის მაკვეი (Helen Elise Mcvey)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ ძველია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	დავით ცინცაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ქიქოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ლელა კიკნაველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამარ ჩიმაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	თამთა ლევიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ალექსანდრე კალანდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ადრიან ჯონ ჩაპლინ ჰედლენდი - Adrian John Chaplin Hadland	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	მაგდა მემანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

14	ალისია ლუსია პრესენსიო ჰერერო (Alicia Lucia Presencio Herrero)	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	მაია ლევანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	ევა ხუხაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "სამემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო, "სამემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო, "სამემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო და "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „სამრეწველო დიზაინის" საბაკალავრო, „სამრეწველო დიზაინის" სამაგისტრო, „მოდის დიზაინის" საბაკალავრო, „მოდის დიზაინის" სამაგისტრო, „ტექსტილის დიზაინის" საბაკალავრო და „ტექსტილის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. „სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის №178400 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "სამემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო, "სამემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო, "სამემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო და "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „სამრეწველო დიზაინის“ საბაკალავრო, „სამრეწველო დიზაინის“ სამაგისტრო, „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო, „მოდის დიზაინის“ სამაგისტრო, „ტექსტილის დიზაინის“ საბაკალავრო და „ტექსტილის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: „სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის №178400 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში ცვლილების შეტანის შესახებ.

საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა 2023 წლის 15 თებერვლის №178400 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2023 წლის თებერვალში მიენიჭა აკრედიტაცია, გადაწყვეტილების დანართში კვალიფიკაცია მითითებულია „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში“, ხოლო კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაცია ფორმულირებული უნდა იყოს როგორც „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში“. ცენტრის წარმომადგენელმა

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 13:10

დასრულების დრო: 13:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის №178400 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში მითითებული კვალიფიკაციის შესწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის №178400 გადაწყვეტილების №1 -ში მისანიჭებული კვალიფიკაცია მიეთითოს: „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში“.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო, "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო, "საშემსრულებლო ხელოვნების" სადოქტორო და "ჯაზის ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 298, 2011, 18 ნოემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (კლავიშოანი საკრავები, სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა N8/10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№257, გადაწყვეტილება, 26 ივნისი 2012 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საშემსრულებლო ხელოვნებაში (კლავიშოანი საკრავები, სიმებიანი საკრავები/ჩასაბერი საკრავები/დასარტყამი საკრავები/ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა N8/10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საშემსრულებლო ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№302, 18 ნოემბერი, 2011 წელი
5		საშემსრულებლო ხელოვნება

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამემსრულებლო ხელოვნების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	35
14	განხორციელების ადგილი	ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა N8/10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯაზის ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 709 გადაწყვეტილება, 20 ნოემბერი, 2012 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჯაზის ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სამემსრულებლო ხელოვნებაში (ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ჯაზ-ვოკალი)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და სამემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა N8/10
15		-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ბაქრაძემ და მარინა ქავთარაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ჰელენ მაქუეი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია არის სტუდენტზე ორიენტირებული დაწესებულება. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა პროგრამებისათვის განმავითარებელი 5 რეკომენდაცია კერძოდ, ტექნიკური მოწყობილობების, სამუშაო სივრცეების მოწყობისა და სასწავლო რესურსებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულებას კარგად ესმის, თუ როგორ გამოიყენოს და იმუშაოს სხვადასხვა პედაგოგიური მიდგომებით, რომლებიც დააბალანსებს როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ანა ჟორჟოლიანი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები ორიენტირებულია პროგრამების განვითარებაზე. დაწესებულების მიერ შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში იყო თვითრეფლექსური და კრიტიკული. მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია უნივერსიტეტს კარგად აქვს გააზრებული. სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ ორჯერ მიმართა კულტურის სამინისტროს დეფიციტური ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიზნით. საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებით შეძენილი იქნა „სტეინვეი ენდ სანსის“ („Steinway & Sons“) 68 უახლესი როიალი უნივერსიტეტისთვის.

სიმებიანი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ ბულიამ განაცხადა, რომ კონსერვატორიას წლების განმავლობაში ყოველთვის ჰქონდა ცნობილი ხელოვანი ადამიანებისგან ინსტრუმენტების მიღების იმედი. არაერთმა ჰოლანდიელმა

მუსიკოსმა აჩუქა სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტები დაწესებულებას. გარდა ამისა, გიორგი ქობულაშვილი, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობს და სპეციალობით ჰობოისტია, კონსერვატორიას რამდენჯერმე უსასყიდლოდ გადასცა ჰობოი. მისი თქმით, წელს შოტლანდიის კონსერვატორიის მუსიკოსებმა საჩუქრად გადასცეს დაწესებულებას კლარნეტი, ფლეიტა, ტრომბონი და ა.შ. ჩასაბერი ინსტრუმენტები. კარგი იქნება თუ ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება დეფიციტური ინსტრუმენტების შეძენის და გაუმჯობესების თვალსაზრისით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საორკესტრო მიმართულების ინსტრუმენტები დაწესებულებაში ძალიან დეფიციტურია. დაწესებულებას აქვს ეს ინსტრუმენტები, თუმცა ეს არ არის საკმარისი ხარისხიანი ცოდნის მიღებისათვის.

ანა ჟორჟოლიანმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც დაჯავშნილ აუდიტორიაში არ ხდებოდა ლექცის ჩატარება, აღნიშნული აუდიტორიით დამოუკიდებლად სარგებლობის უფლება სხვა სტუდენტებს აქვთ.

ანა ჟორჟოლიანმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მიესალმება ქართულენოვანი ლიტერატურის განახლებას. უნივერსიტეტს სამოქმედო გეგმით აქვს გათვალისწინებული ის საკითხი, რომ უნდა გაძლიერდეს როგორც არსებული ქართულენოვანი ლიტერატურის განახლების, ისე შემუშავების მექანიზმები. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს.

ანა ჟორჟოლიანმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულ რეკომენდაციას იგივე შინაარსი აქვს, როგორც მეორე რეკომენდაციას. დაწესებულებისთვის აგურკვეველი იყო თუ რა გულისხმობდნენ ექსპერტები მეოთხე რეკომენდაციის მეორე წინადადებაში, რომელიც ეხება თეორიული სამუშაოებისას კვლევითი ხელსაწყოების გამოყენების დაცულობას.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა ორი წლის ონლაინ შეხვედრების ჩამონათვალი. უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომ მნიშვნელოვანია წინასწარ დაგეგმილი, კარგად გააზრებული და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე იყოს ორიენტირებული შეხვედრები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნული გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმითაც.

ანა ჟორჟოლიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომ დასკვნაში საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში აღნიშნეს დაწესებულების მიერ განხორციელებული პრაქტიკები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ყურადღების მიღმა დარჩა გარე და უცხოელი ექსპერტების საგამოცდო პროცესში ჩართულობის საკითხის აღნიშვნა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით ცინცაძემ ანა ჟორჟოლიანის შეკითხვას უპასუხა. მან აღნიშნა, რომ იმ ხელსაწყოებით, რომლებითაც ხდება თეორიული ნაშრომის შექმნა, ყველასთვის ერთიანი და თანაბარი არ არის. როდესაც პრაქტიკოსი ქმნის თეორიულ ნაშრომს, მან უნდა იხელმძღვანელოს დადგენილი, ერთიანი სტანდარტით. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ისეთი ნაშრომები, რომლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. შესაბამისად, ყველა ნაშრომი უნდა იყოს ერთიანი სტანდარტით შექმნილი. ამრიგად, ეს იგულისხმებოდა თეორიული სამუშაოებისას კვლევითი ხელსაწყოების გამოყენების დაცულობაში. დავით ცინცაძემ დამოუკიდებელ სივრცეებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ კონსერვატორია განიცდის კლავიშიანი ინსტრუმენტების დეფიციტს, შესაძლებელია კონსერვატორიის დერეფნებში და ფოიეში დაიდგას ელექტრო პიანინოები (ე.წ. „Digital Pianos“) ყურსასმენებით, რომლებიც სტუდენტებს მისცემს მეცადინეობის საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება საშემსრულებლო მიმართულებით მიმდინარე კვლევებს მკაცრ სტანდარტებში ვერ მოაქცევს. კონსერვატორია გეგმავს კვლევით მეთოდოლოგიაში დანერგოს მხატვრული კვლევის მეთოდები. მისი თქმით, მხატვრული კვლევა სამეცნიერო კვლევისგან განსხვავებით იმით განსხვავდება, რომ სტუდენტმა შეიძლება ხელოვნების ნიმუშზე მუშაობის პროცესი გახადოს კვლევის ნაწილი და კვლევის შედეგი იყოს არა წერილობითი დოკუმენტი, არამედ ნაწარმოები, რომელსაც ის შექმნის. სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორი არის ის დაწესებულება, რომელმაც პირველმა გამოსცა მხატვრულის კვლევის მეთოდოლოგიაზე სახელმძღვანელო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელიც ეხებოდა პლაგიატის დადგენის მექანიზმებს უნივერსიტეტს სადოქტორო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს „Turnitin“-ის პროგრამა, რომლის მართვაზე პასუხისმგებლობა აღებული აქვს ბიბლიოთეკას. მისი თქმით, თითოეული ხელმძღვანელი პასუხისმგებელია თავისი დოქტორანტის და მაგისტრანტის ნაშრომში პლაგიატის დადგენაზე. დოქტორანტის/მაგისტრანტის ნაშრომი ისე არ დაიშვება დაცვაზე და კათედრაზე განხილვისთვის თუ არ არსებობს ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დამთხვევების პროცენტი დაშვებულია საბაკალავრო ნაშრომის დონეზე 60%-ით, სამაგისტროს შემთხვევაში 50%-ით, ხოლო სადოქტოროზე 40%-ით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტმა მიიღო განახლებული დადგენილება, რომლითაც დამთხვევები სადოქტორო საფეხურზე დაყვანილია 25%-ზე.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, მეთერთმეტე და მეთორმეტე რჩევა ჩამოყალიბებულია რეკომენდაციის სახით. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.

ექსპერტებმა, ნინო ქიმერიძემ და დათო ცინცაძემ განაცხადეს, რომ მეთერთმეტე და მეთორმეტე რჩევა უნდა იყოს რეკომენდაციის სახით ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ეს არის ტექნიკური ხარვეზი.

ერმილე მესხიას თქმით, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს შემოქმედებითი ტური, გასაუბრება და განაცხადი, თუმცა სასწავლო კურსებში კერძოდ, „მეცნიერების მენეჯმენტში“ ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, ხოლო „კვლევის მეთოდებში“ მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, ამ კურსებს დაშვების წინაპირობა არ გააჩნიათ. მას აინტერესებდა, როგორ შეძლებენ უცხოენოვანი ლიტერატურის ათვისებასა და გაცნობას დოქტორანტები თუ მათ არ მოეთხოვებათ ინგლისური ენა როგორც დაშვების წინაპირობა. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გადასახადის საფასური მაღალია. კერძოდ, აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების გადასახადი 6500 ლარს შეადგენს. მას აინტერესებდა, უჭირთ თუ არა ქართველ დოქტორანტებს 6500 ლარის გადახდა. გარდა ამისა, დაწესებულებამ გაითვალისწინა თუ არა დროებითი საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ასვე, რატომ

უთხრა უარი საკონსულტაციო ჯგუფმა დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოზე ისეთი პროგრამების წარდგენაზე როგორებიცაა „ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა“, „კონცერტმაისტერი“ და „სიმფონიური ორკესტრი და ოპერის დირიჟორი“.

ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ საკონსულტაციო ჯგუფის მიერ გაცემული დასკვნა წარმოადგენს პროგრამების გარე შეფასებას.

ანა ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა კულტურის სამინისტროს მიერ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ნახევარი კონსერვატორიის პერსონალი. მათ შორის იყო პროგრამის ხელმძღვანელი და სხვა პროგრამის თანახელმძღვანელი. გარდა ამისა, აღნიშნულ ჯგუფში იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დაწესებულების მხრიდან სამუშაო ჯგუფში როგორც დამსაქმებლები ისე იყვნენ წარმოდგენილნი. შესაბამისად, კონსერვატორიისთვის გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ერთი კვირით ადრე გახდა საჭირო ჯგუფში მონაწილე პოზიციების ცვლილება. დაწესებულებამ საკონსულტაციო ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაითვალისწინა, თუმცა იყო მიუღებელი რეკომენდაციებიც კერძოდ, კამერული ანსამბლის გაერთიანების საწინააღმდეგო რეკომენდაცია. გარდა ამისა, ნაწილობრივ გაითვალისწინა დაწესებულებამ სტუდიო კლასის მიმართ გაცემული რეკომენდაცია. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კანდიდატის მიღების ეტაპზე არ ტარდება ინგლისური ენის გამოცდა, თუმცა პირველი წლის განმავლობაში დოქტორატებისგან დაწესებულება მოითხოვს იმას, რომ მათ წარმოადგინონ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი. ეს ინფორმაცია წერია დოქტორანტურისა და სადისერტაციო ნაშრომის დებულებაში. მან აღნიშნა, რომ სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ცდილობს დოქტორანტებს ფინანსური შეღავათი გაუწიოს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით დაწესებულება ბევრს მუშაობს. მას აქვს უამრავი მემორანდუმი გაფორმებული როგორც ევროპის ქვეყნებთან, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალის თვითგანვითარებაზე მუდმივად ზრუნავს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც აკადემიური და ადმინისტრაციის პერსონალი, ისე სტუდენტები უცხო ენას კარგად ფლობენ, რაც მისასალმებელია. შესაბამისად, სტუდენტებს უკვე აღარ გაუჭირდებათ დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების გაგრძელება. დოქტორანტურაზე სწავლის საფასურთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტებს არ უჭირთ 6500 ლარის გადახდა იმიტომ, რომ ისინი მაღალანაზღაურებად სამუშაოებზე მუშაობენ. გარდა ამისა, კონსერვატორია ცდილობს ფინანსური შეღავათები გაუწიოს სტუდენტებს რუსთაველის ფონდით ან სხვა კერძო გრანტებით. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებს სურთ, რომ უცხო ენის შესწავლის დროს იმუშაონ ინგლისურენოვან მუსიკალურ ტექსტებზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მხოლოდ საკომუნიკაციო უნარებზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. ანა ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას კონსერვატორია იზიარებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:19

დასრულების დრო: 14:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (28/12/2030) 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია იმ ძველი ინსტრუმენტების ჩანაცვლება/განახლება, რომლებიც უკვე აღარ არის სწავლებისთვის ვარგისი; გარდა ამისა, აუდიტორიები მაქსიმალურად უნდა შეავსოთ გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობით (ხმის გამამძლიერებლები, მონიტორები, ხმის საიზოლაციო სისტემები), რომ სასწავლო პროცესი სათანადოდ წარიმართოს;
2. რეკომენდებულია, რომ შეიმუშაოთ კლასების დაჯავშნის ეფექტური სისტემა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ინდივიდუალური გაკვეთილები მათთვის სასურველ დროსა და ადგილას;
3. რეკომენდებულია, ლიტერატურის გათანამედროვეება/განახლება, ასევე პროგრამებზე ქართულენოვანი ლიტერატურის დამატება;
4. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა დამოუკიდებელ სამუშაო სივრცეზე. თეორიული სამუშაოებისას, კვლევითი ხელსაწყოების გამოყენება უნდა იყოს დაცული;
5. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის სამუშაო შეხვედრების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში.

რჩევები:

1. განიხილეთ სტუდენტების წახალისებისა და მხარდაჭერის გზები, რათა მოიძიონ გარე დაფინანსება, განსაკუთრებით კვლევითი გრანტები;

2. აუცილებელია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტების მიერ აუდიტორიების დაჯავშნას და დროის გათვალისწინებას. სასურველია, კონსერვატორიის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია და სივრცეების გადანაწილებით თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის მეტი კომფორტის შექმნა. პერსონალის განვითარების მიზნით, სასურველია სტუდენტებთან თანამშრომლობა საშემსრულებლო კუთხით;
3. სასურველია, მოიძიოთ სახსრები პრობლემური მუსიკალური ინსტრუმენტების განახლებისა და აღდგენისთვის;
4. განაგრძეთ პროგრამის მიზნების ფორმირებაში თანამედროვე საერთაშორისო მიდგომების ჩართვის გზების მოძიება, რათა უზრუნველყოთ მათი თანამიმდევრულობა, ლოგიკურობა და ის თუ რამდენად შეესაბამება კონსერვატორიის სპეციალობის დარგს.
5. გააგრძელეთ კარგი პრაქტიკის ძიება საერთაშორისო კონტექსტში, რათა უზრუნველყოთ სწავლის შედეგების თანამედროვე ჩარჩო და მისი კავშირი სტუდენტის სწავლასა და შეფასებასთან;
6. უზრუნველყავით კონსტრუქციული თანხვედრა სწავლის შედეგების ყველა დონეს შორის;
7. სასურველია სწავლის შედეგების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დინამიკის გააზრებას;
8. სწავლის შედეგების ანალიზის ზუსტი შედეგების მისაღებად, სასურველია სასწავლო პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ინდიკატორის ანალიზი;
9. სასურველია სწავლის შედეგების კორექტირება არა მხოლოდ სასწავლო გეგმაში, არამედ აკადემიურ კურსებშიც და სასურველია მათი ფორმულირება გაზომვადი პრედიკატების გამოყენებით, რათა შედეგი გაზომვადი და კონკრეტული იყოს;
10. სასურველია, რომ საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს კრედიტების განაწილება, საბოლოო ნაწარმის შინაარსი და ქულების მინიჭების სქემა. სასურველია, რომ გაიზარდოს სასწავლო მასალების რაოდენობა რიდერების სახით და რომ დამატებით ლიტერატურაში მითითებული უცხოენოვანი მასალები ქართულად ითარგმნოს, რათა გამრავალფეროვნდეს აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები;
11. სასურველია, სტუდენტთა ჩართვა დასაქმების პროცესის პერიოდული განხილვის პროცესში, რათა უზრუნველყოთ, რომ ის შეესაბამება პროგრამის მოლოდინებს;
12. სასურველია, მეტი დრო დაეთმოს საორკესტრო ლიტერატურის უფრო რთული ეპიზოდების სწავლას, რადგან ეს მოთხოვნა დაფიქსირდა დამსაქმებლების მხრიდან.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის "საშემსრულებლო ხელოვნების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (28/12/2030).

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია იმ ძველი ინსტრუმენტების ჩანაცვლება/განახლება, რომლებიც უკვე აღარ არის სწავლებისთვის ვარგისი; გარდა ამისა, აუდიტორიები მაქსიმალურად უნდა შეავსოთ გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობით (ხმის გამამძლიერებლები, მონიტორები, ხმის საიზოლაციო სისტემები), რომ სასწავლო პროცესი სათანადოდ წარიმართოს;
2. რეკომენდებულია, რომ შეიმუშაოთ კლასების დაჯავშნის ეფექტური სისტემა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ინდივიდუალური გაკვეთილები მათთვის სასურველ დროსა და ადგილას;
3. რეკომენდებულია, ლიტერატურის გათანამედროვეება/განახლება, ასევე პროგრამებზე ქართულენოვანი ლიტერატურის დამატება;
4. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა დამოუკიდებელ სამუშაო სივრცეზე. თეორიული სამუშაოებისას, კვლევითი ხელსაწყოების გამოყენება უნდა იყოს დაცული;
5. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის სამუშაო შეხვედრების რეგულარულად მომზადება, რათა გაეცნონ ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებულ სიახლეებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა შიდა ხარისხის განვითარებაში.

რჩევები:

1. სასურველია განვითარდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. კრედიტების განაწილება ჩამოწერეთ სასწავლო კომპონენტების მიხედვით და დაამატეთ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის ფინალური გამოცდის მოთხოვნები და შეფასების კომპონენტები;
2. შეასწორეთ მცირე ტექნიკური შეცდომები სილაბუსებში. შეუქმენით სტუდენტებს დამოუკიდებელი სამუშაო სივრცე (რაც დამოუკიდებელია არა მხოლოდ ფინანსებზე, არამედ იმაზე, რომ აუდიტორიების დაჯავშნის მიუხედავად პერსონალის მხრიდან ზოგჯერ იქმნება უხერხული სიტუაციები, რაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული);
3. მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტების მიერ აუდიტორიების დაჯავშნას და დროის გათვალისწინებას. სასურველია, კონსერვატორიის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია და სივრცეების გადანაწილებით თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის მეტი კომფორტის შექმნა. პერსონალის განვითარების მიზნით, სასურველია სტუდენტებთან თანამშრომლობა საშემსრულებლო კუთხით. სასურველია იყოს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა, რომელიც იქნება დამატებითი მხარდაჭერა პროფესორებისთვის და საუკეთესო საშუალება ახალი კადრებისთვის;
4. სასურველია, მოიძიოთ სახსრები პრობლემური მუსიკალური ინსტრუმენტების განახლებისა და აღდგენისთვის;

5. განაგრძეთ პროგრამის მიზნების ფორმირებაში თანამედროვე საერთაშორისო მიდგომების ჩართვის გზების მოძიება, რათა უზრუნველყოთ მათი თანამიმდევრულობა, ლოგიკურობა და ის თუ რამდენად შეესაბამება კონსერვატორიის სპეციალობის დარგს.
6. გააგრძელეთ კარგი პრაქტიკის ძიება საერთაშორისო კონტექსტში, რათა უზრუნველყოთ სწავლის შედეგების თანამედროვე ჩარჩო და მისი კავშირი სტუდენტის სწავლასა და შეფასებასთან;
7. უზრუნველვყავით კონსტრუქციული თანხვედრა სწავლის შედეგების ყველა დონეს შორის;
8. სასურველია სწავლის შედეგების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დინამიკის გააზრებას;
9. სწავლის შედეგების ანალიზის ზუსტი შედეგების მისაღებად, სასურველია სასწავლო პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ინდიკატორის ანალიზი;
10. სასურველია სწავლის შედეგების კორექტირება არა მხოლოდ სასწავლო გეგმაში, არამედ აკადემიურ კურსებშიც და სასურველია მათი ფორმულირება გაზომვადი პრედიკატების გამოყენებით, რათა შედეგი გაზომვადი და კონკრეტული იყოს;
11. სასურველია, რომ საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაში დეტალურად გაიწეროს კრედიტების განაწილება, საბოლოო ნაწარმის შინაარსი და ქულების მინიჭების სქემა. სასურველია, რომ გაიზარდოს სასწავლო მასალების რაოდენობა რიდერების სახით და რომ დამატებით ლიტერატურაში მითითებული უცხოენოვანი მასალები ქართულად ითარგმნოს, რათა გამრავალფეროვნდეს აღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები;
12. სასურველია სტუდენტთა ჩართვა დასაქმების პროცესის პერიოდული განხილვის პროცესში, რათა უზრუნველყოთ, რომ ის შეესაბამება პროგრამის მოლოდინებს;
13. სასურველია მეტი დრო დაეთმოს საორკესტრო ლიტერატურის უფრო რთული ეპიზოდების სწავლას, რადგან ეს მოთხოვნა დაფიქსირდა დამსაქმებლების მხრიდან.

3. რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს სტუდენტებისა და სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელების ყველა ვალდებულებას (უფლებებსა და მოვალეობებს), ან ჩართავს ასეთ ნორმებს უკვე არსებულ დოკუმენტებში (მაგალითად, თსსა დოქტორანტურის მარეგულირებელ დოკუმენტში, როგორცაა სამაგისტრო პროგრამის დებულება);
4. რეკომენდებულია, ექვსივე პროგრამისთვის დაიწეროს სამიზნე ქულები თითოეული შედეგისთვის;
5. რეკომენდებულია, დაემატოს 0 შეფასების ქულა, თუ არ არის შეფასების კომპონენტი;
6. რეკომენდებულია, პროგრამის პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე;

რჩევები:

1. სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, 1-3 ქულა და 4-6 ქულა, სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად - 1-2 ქულა, 3-4 ქულა და 5-6 ქულა;
2. სასურველია, საგანმანათლებლო პროცესში ისეთი დისციპლინების ჩართვა, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების სპეციფიკას, დიზაინის პროდუქციის ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით, რაც, გარდა სფეროს შემოქმედებითი უნარების განვითარებისა, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას, ინტერდისციპლინურ მიდგომებს, მაშინ როცა დიზაინის მიმართულებით უცხოურ სკოლებში სწავლების პრაქტიკა ასევე ორიენტირებულია თეორია/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინურ კომპლექსურ მიდგომებზე, შემოქმედებითი აზროვნების, წარმოების სპეციფიკის, ექსპერიმენტული აქტივობების და ა.შ., გათვალისწინებით;
3. სასურველია სასწავლო პროცესს აქტიურად დაემატოს პრაქტიკული დისციპლინები კონსტრუქციული და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომებით დიზაინში (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნის

შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში; სასურველია პორტფელიოს დიზაინის გადახედვა, მაგ. დაემატოს CV ფუნქცია (პროექტებში, კონკურსებში, გამოფენებში მონაწილეობა);

4. სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევრები) ასახავდეს დიზაინის მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ არა მხოლოდ შემოქმედებით აზროვნებას, არამედ პრობლემის გადაჭრის ძიების გზებსაც;

5. სასურველია თსსა-მ დაიწყოს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების და ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის აღმოჩენის სისტემების ძიება, რათა უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერება და საავტორო უფლებების დაცვა ყველა პროგრამაზე;

6. სასურველია სტუდენტთა საჩივრებზე (აპელაციაზე) მოხდეს დროული რეაგირება, უმჯობესი იქნება ფაკულტეტის საბჭოსგან საჩივრის განხილვის უფლება გადაეცეს სხვა აკადემიურ ან ადმინისტრაციულ ერთეულს ან, მაგალითად, შეიქმნას მცირე საბჭო, რომელიც განიხილავს სტუდენტთა აპელაციებს;

7. სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტები უფრო მეტად ჩაერთონ თანამედროვე ინოვაციურ საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში;

8. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 50/50, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

9. სასურველია, უმაღლესმა სასწავლებელმა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება უცხო ენაში (ინგლისური), რაც გაზრდის პედაგოგთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებაში; სასურველია, პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი გააქტიურდეს სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით.

(მონოგრაფია, რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და ა.შ.) სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო და/ან მოწვეული პერსონალის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ - ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა

სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად;

10. სასურველია, გაიზარდოს პროგრამების ბიუჯეტი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან ან დარგის სფეროს პარტნიორებიდან, რომელიც გათვალისწინებული იქნება საკურსო პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მასალებისთვის;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ტექსტილის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (28/12/2030).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ტექსტილის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (28/12/2030).

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ექვსივე პროგრამისთვის დაიწეროს სამიზნე ქულები თითოეული შედეგისთვის;
2. რეკომენდებულია, დაემატოს 0 შეფასების ქულა, თუ არ არის შეფასების კომპონენტი;
3. რეკომენდებულია, პროგრამის პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე;

რჩევები:

1. სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, 1-3 ქულა და 4-6 ქულა, სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად - 1-2 ქულა, 3-4 ქულა და 5-6 ქულა;
 2. სასურველია, საგანმანათლებლო პროცესში ისეთი დისციპლინების ჩართვა, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების სპეციფიკას, დიზაინის პროდუქციის ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით, რაც, გარდა სფეროს შემოქმედებითი უნარების განვითარებისა, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას, ინტერდისციპლინურ მიდგომებს, მაშინ როცა დიზაინის მიმართულებით უცხოურ სკოლებში სწავლების პრაქტიკა ასევე ორიენტირებულია თეორია/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინურ კომპლექსურ მიდგომებზე, შემოქმედებითი აზროვნების, წარმოების სპეციფიკის, ექსპერიმენტული აქტივობების და ა.შ., გათვალისწინებით;
 3. სასურველია სასწავლო პროცესს აქტიურად დაემატოს პრაქტიკული დისციპლინები კონსტრუქციული და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომებით დიზაინში (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში; სასურველია პორტფელიოს დიზაინის გადახედვა, მაგ. დაემატოს CV ფუნქცია (პროექტებში, კონკურსებში, გამოფენებში მონაწილეობა);
 4. სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევრები) ასახავდეს დიზაინის მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ არა მხოლოდ შემოქმედებით აზროვნებას, არამედ პრობლემის გადაჭრის ძიების გზებსაც;
 5. სასურველია თსსა-მ დაიწყოს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების და ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის აღმოჩენის სისტემების ძიება, რათა უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერება და საავტორო უფლებების დაცვა ყველა პროგრამაზე;
 6. სასურველია სტუდენტთა საჩივრებზე (აპელაციაზე) მოხდეს დროული რეაგირება, უმჯობესი იქნება ფაკულტეტის საბჭოსგან საჩივრის განხილვის უფლება გადაეცეს სხვა აკადემიურ ან ადმინისტრაციულ ერთეულს ან, მაგალითად, შეიქმნას მცირე საბჭო, რომელიც განიხილავს სტუდენტთა აპელაციებს;
 7. სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტები უფრო მეტად ჩაერთონ თანამედროვე ინოვაციურ საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში;
 8. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 50/50, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
 9. სასურველია, უმაღლესმა სასწავლებელმა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება უცხო ენაში (ინგლისური), რაც გაზრდის პედაგოგთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებაში; სასურველია, პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი გააქტიურდეს სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით. (მონოგრაფია, რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და ა.შ.)
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო და/ან მოწვეული პერსონალის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ - ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა

სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად;

10. სასურველია, გაიზარდოს პროგრამების ბიუჯეტი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან ან დარგის სფეროს პარტნიორებიდან, რომელიც გათვალისწინებული იქნება საკურსო პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მასალებისთვის;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ტექსტილის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი (28/12/2030).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ტექსტილის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - (28/12/2030).

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები;
2. რეკომენდებულია, თსსა-მ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს სტუდენტებისა და სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელების ყველა ვალდებულებას (უფლებებსა და მოვალეობებს), ან ჩართავს ასეთ ნორმებს უკვე არსებულ დოკუმენტებში (მაგალითად, თსსა დოქტორანტურის მარეგულირებელ დოკუმენტში, როგორცაა სამაგისტრო პროგრამის დებულება);
3. რეკომენდებულია, კვალიფიციურმა ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს ნაშრომის საბოლოო სახით წარდგენისთვის აუცილებელი ახალი სტანდარტები, ტექსტილის სფეროში თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით;
4. რეკომენდებულია, ექვსივე პროგრამისთვის დაიწეროს სამიზნე ქულები თითოეული შედეგისთვის;
5. რეკომენდებულია, დაემატოს 0 შეფასების ქულა, თუ არ არის შეფასების კომპონენტი;
6. რეკომენდებულია, პროგრამის პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე;
7. რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხელმძღვანელებისა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის დასადგენად, შესაბამისი თანაფარდობის

უზრუნველყოფის მიზნით ან ჩართოს აღნიშნული მეთოდოლოგია უკვე არსებულ დოკუმენტში „სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები“;

რჩევები:

1. სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, 1-3 ქულა და 4-6 ქულა, სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად - 1-2 ქულა, 3-4 ქულა და 5-6 ქულა;
2. სასურველია, საგანმანათლებლო პროცესში ისეთი დისციპლინების ჩართვა, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების სპეციფიკას, დიზაინის პროდუქციის ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით, რაც, გარდა სფეროს შემოქმედებითი უნარების განვითარებისა, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას, ინტერდისციპლინურ მიდგომებს, მაშინ როცა დიზაინის მიმართულებით უცხოურ სკოლებში სწავლების პრაქტიკა ასევე ორიენტირებულია თეორია/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინურ კომპლექსურ მიდგომებზე, შემოქმედებითი აზროვნების, წარმოების სპეციფიკის, ექსპერიმენტული აქტივობების და ა.შ., გათვალისწინებით;
3. სასურველია სასწავლო პროცესს აქტიურად დაემატოს პრაქტიკული დისციპლინები კონსტრუქციული და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომებით დიზაინში (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში; სასურველია პორტფელიოს დიზაინის გადახედვა, მაგ. დაემატოს CV ფუნქცია (პროექტებში, კონკურსებში, გამოფენებში მონაწილეობა);
4. სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევრები) ასახავდეს დიზაინის მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ არა მხოლოდ შემოქმედებით აზროვნებას, არამედ პრობლემის გადაჭრის ძიების გზებსაც;
5. სასურველია თსსა-მ დაიწყოს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების და ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის აღმოჩენის სისტემების ძიება, რათა უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერება და საავტორო უფლებების დაცვა ყველა პროგრამაზე;
6. სასურველია სტუდენტთა საჩივრებზე (აპელაციაზე) მოხდეს დროული რეაგირება, უმჯობესი იქნება ფაკულტეტის საბჭოსგან საჩივრის განხილვის უფლება გადაეცეს სხვა აკადემიურ ან ადმინისტრაციულ ერთეულს ან, მაგალითად, შეიქმნას მცირე საბჭო, რომელიც განიხილავს სტუდენტთა აპელაციებს;
7. სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტები უფრო მეტად ჩაერთონ თანამედროვე ინოვაციურ საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში;
8. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 50/50, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
9. სასურველია, უმაღლესმა სასწავლებელმა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება უცხო ენაში (ინგლისური), რაც გაზრდის პედაგოგთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებაში; სასურველია, პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი გააქტიურდეს სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით. (მონოგრაფია, რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და ა.შ.)
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო და/ან მოწვეული პერსონალის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ - ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი მ ხ ა რ და ჭ ე რ ა სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად;
10. სასურველია, გაიზარდოს პროგრამების ბიუჯეტი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან ან დარგის სფეროს პარტნიორებიდან, რომელიც გათვალისწინებული იქნება საკურსო პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მასალებისთვის;

საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ სირაძე.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა Journalism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი Bachelor of Journalism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა Journalism and Reporting
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის ქ. 35, I კორპუსი, 6010, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა თამარ სირაძემ და ერმილე მესხიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ რეჟიმში. მისი თქმით, დაწესებულებამ გაიზიარა პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტის განმარტებით, დასახვეწია პროგრამის შინაარსი, ასევე, სასწავლო გეგმაში დაცული უნდა იყოს ბალანსი. გარდა ამისა, პროგრამას უნდა დაემატოს მეტი კვალიფიციური პერსონალი. იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე უნივერსიტეტში აღარ ხორციელდებოდა აღნიშნული პროგრამა, რამდენიმე კადრი იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, თუმცა როდესაც დაწესებულება განხორციელებს აღნიშნულ პროგრამას, აუცილებელია მეტი კვალიფიციური პერსონალის არსებობა პროგრამაზე. მისი თქმით, რეკომენდაციებში ყურადღება გამახვილდა შინაარსის დუბლირებაზე, რომელიც გამოიკვეთა ვიზიტის დროს. გარდა ამისა, დიდი მოცულობით იყო წარმოდგენილი სავალდებულო საგნების მოდული. მნიშვნელოვანია ინგლისური ენის კომპეტენციაზე ყურადღების გამახვილება პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის სამიზნე ნიშნულები უნდა იყოს დახვეწილი და გასაგები სტუდენტისთვის. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მემორანდუმების განახლებას მედია ორგანიზაციებთან და მათში მეტი კონკრეტიკის წარმოდგენას სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით. ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც პროგრამის მიმართ გაიცა მარტივად შესასრულებელია დაწესებულებისათვის და არ მოიცავს ფუნდამენტურ ცვლილებების განხორციელებას პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვლადიმერ ლლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ დეტალურად და საფუძვლიანად შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის პროექტი. უნივერსიტეტი იზიარებს დასკვნაში მოცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. მან განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში. უნივერსიტეტს რამდენიმე რეკომენდაციაზე უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება არ გამოიწვევს როგორც ფართომასშტაბიან ცვლილებებს, ისე ჩამოყალიბებული მიზნების რეფორმულირებას პროგრამაში. ვლადიმერ ლლონტმა განაცხადა, რომ მომავალი წლის ეროვნული გამოცდებისთვის ანკეტა კითხვარში ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ასახულია სტატუსით - „მიმდინარეობს წარმოება“. უცხო ენაში განისაზღვრა ინგლისური ენის ჩაბარების ვალდებულება და ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მნიშვნელოვნად გიზარდა. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების და შეფასების ძირითადი მომენტები ასახულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. იმ დეტალის გამოსწორებას, რომელზეც ექსპერტები მიუთითებდნენ კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში რუბრიკების განსაზღვრასთან და დაზუსტებასთან დაკავშირებით, დაწესებულება ითვალისწინებს. რეკომენდებულია რომელიც ეხება, რომ აბიტურიენტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხება პროგრამაზე, B2 დონეზე ქართულ ენას უნდა ფლობდეს, აღნიშნულთან დაკავშირებით ვლადიმერ ლლონტმა განმარტა, რომ ეს საკითხი რეგულირდება მინისტრის ბრძანებით, სადაც ქართული ენის ცოდნის დონე B1 დონით არის

განსაზღვრული, თუმცა უნივერსიტეტის რეგულაციით შესაძლებელია ქართული ენის ცოდნის დონე განისაზღვროს B2 დონით. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღებისა და შეფასების წესი, რომელშიც გათვალისწინებულია კვალიფიკაციის აღიარებისა და დადასტურების მექანიზმი. აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის წარმატებით გავლის შემდეგ უნივერსიტეტი გეგმავს ჟურნალისტიკის მიმართულების ცალკე გამოყოფას და განვითარებას სტრუქტურულ ერთეულად, შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კი კონკურსის გამოცხადებას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ მასობრივი კომუნიკაციებისა და სოციალური მეცნიერებათა მიმართულების დოქტორები, რომლებსაც აქვთ სწავლების დიდი ხნის გამოცდილება. შესაბამისად, უნივერსიტეტი უპირატესობას მიანიჭებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირების აყვანას პროგრამის განხორციელების პროცესში. მან ასევე აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკის მიმართულებით დაწესებულებამ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც უკვე მოქმედებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, 4.1 ქვესტანდარტში კერძოდ, აღწერილობით ნაწილში მოცემულია შემდეგი: „დროთა განმავლობაში რეკომენდებულია ჟურნალისტიკის ცალკე სტრუქტურულად გამოყოფა“, თუმცა აღნიშნული ქვესტანდარტის ბოლოს ეს ნაწილი რჩევის სახით არის წარმოდგენილი. მას აინტერესებდა, მოცემული ჩანაწერი რჩევის თუ რეკომენდაციის სახით უნდა იყოს მოცემული დასკვნაში. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნის ბოლო ვერსიის თანახმად, აღნიშნული ჩანაწერი რჩევის სახით არის წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:01

დასრულების დრო: 16:29

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთადასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 4.1 კომპონენტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. საბჭოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2028 წლის 01 ივლისი) 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2028 წლის 01 ივლისი) 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმის კურსებს, რათა თავიდან აიცილოთ შინაარსის გადაფარვა და დუბლირება, განსაკუთრებით საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედია პოლიტიკის კურსებში.
2. რეკომენდებულია, შემცირდეს სავალდებულო მოდულების რაოდენობა, რათა შეიქმნას არჩევითი მოდულების მეტი წილი და მეტი ადგილი არჩევანისა და სპეციალიზაციისთვის;
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების რუბრიკა უფრო თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.
5. რეკომენდებულია, სავალდებულო ლიტერატურად განისაზღვროს ქართულ ენოვანი უახლესი გამოცემის ლიტერატურა ცალკეულ სილაბუსებში.
6. რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე მიღების წესებში სავალდებულოდ მიეთითოს ქართული ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება მათთვის, ვისაც შეუძლია პროგრამაში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.
7. რეკომენდებულია, პროგრამების დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს უცხო ენა.
8. რეკომენდებულია, მემორანდუმების განახლება ხუთ პარტნიორ მედია ორგანიზაციასთან, ხოლო ახალ ვერსიებში იმის მითითება, თუ რამდენი სტუდენტის მიღება იქნება შესაძლებელი ერთ სემესტრში სტაჟირებაზე.
9. "საბაკალავრო ნაშრომში" სილაბუსი უნდა შეიცავდეს სამივე შემფასებლის (ხელმძღვანელი, რეცენზენტი და დაცვის კომისიის წევრები) შეფასების აღწერას.
10. ამჟამინდელ პედაგოგიურ პერსონალში კონკრეტული ჟურნალისტური კვალიფიკაციის არარსებობის გამო, რეკომენდებულია, რომ მომავალში თანამშრომლების აყვანისას უპირატესობა მიენიჭოს ჟურნალისტიკის, მასობრივი კომუნიკაციის ან მედიის დარგებში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურ პერსონალს.

რჩევები:

1. სასურველია სილაბუსების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში სწავლა-სწავლების მეთოდების დამატება.
2. სასურველია ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერება ჟურნალისტიკის პროგრამაში, რათა გააფართოვოს სტუდენტების წვდომა დარგის ცოდნაზე და კვლევებზე და გააძლიეროს დასაქმების პერსპექტივები";
3. ჟურნალისტიკა, როგორც საგნობრივი სფერო, სასურველია, გამოიყოს ფილოლოგიისგან, რომ გახდეს ავტონომიური და ცალკე განყოფილება.

5. მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნება Audiovisual arts
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი/Bachelor of Audiovisual Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება - 0211
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ბროსეს 2, ქ.თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი გიგა ხოსიტაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდულ რეჟიმში 2023 წლის 17 ნოემბერს. პროგრამა შეფასდა როგორც სრულ შესაბამისობაში ხუთივე სტანდარტთან მიმართებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის გაძლიერებას. მისი თქმით, გაცემული რჩევების ერთი ნაწილი უკავშირდება სწავლის მეთოდებს, ხოლო მეორე ნაწილი არსებული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო მოდერნიზებას, რათა კურსდამთავრებულებს პრობლემა არ შეექმნათ დასაქმების ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულა იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას. პროგრამა არის ახალი და როდესაც მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, ამუშავდება ის მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობას პროგრამის განხორციელების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენია პროგრამაზე მიღების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უცხო ენაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უცხო ენაში არის 50%.

საბჭოს წევრმა, თინათინ ჭაბუკიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს. მას აინტერესებდა, რამდენი სტუდენტი უნდა გადმოვიდეს აღნიშნულ პროგრამაზე სასწავლებლად. გარდა ამისა, აკმაყოფილებს თუ არა სტუდენტების მოთხოვნებს ის მატერიალური რესურსი, რომელიც დაწესებულებას გააჩნია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე ასათიანმა აღნიშნა, რომ 47 სტუდენტია, რომელიც ამ პროგრამაზე უნდა გადმოვიდეს მობილობით. ამჟამად დაწესებულებას აქვს „Canon XA10“-ისა და „Canon XA11“-ის 18 ვიდეოკამერა. გარდა ამისა, Canon „Canon EOS C100“ ვიდეოკამერა, რომელიც დოკუმენტური კინო წარმოებისთვის გამოიყენება. ასევე, დაწესებულებას აქვს ფოტოკამერები, აუდიო მოწყობილობები და მიკროფონები როგორც კაბელიანი, ისე უკაბელო (ე.წ. დისტანციური მიკროფონი).

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, 3.1 კომპონენტში მოცემულია რჩევა, რომელიც ეხება მატერიალურ რესურსებს. მას აინტერესებდა, უნდა იყოს თუ არა აღნიშნული რჩევა გაწერილი 4.4 კომპონენტში. მან აღნიშნა, რომ სტანდარტი 2.2 შეფასებულია „მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ხარვეზი. მისი თქმით, 4.4 კომპონენტში მოცემულია შემდეგი რჩევა: „ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას“. მას აინტერესებდა, აღნიშნული ჩანაწერი რეკომენდაციის თუ რჩევის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი დასკვნაში. ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ თავდაპირველ დასკვნის პროექტში ექსპერტებს ჰქონდათ 3 რეკომენდაცია, თუმცა უნივერსიტეტის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ორი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში. შესაბამისად, დასკვნაში მოცემული ეს სიტყვები აღარ შეიცვალა და დარჩა რეკომენდაციად. მისი თქმით, სტუდენტებმა დაადასტურეს პროგრამაზე არსებული მატერიალური რესურსის არსებობა, თუმცა მოითხოვეს მისი განახლება.

ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. „პროექტის მართვის“ სასწავლო კურსში მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა. მას აინტერესებდა, შეიძლება თუ არა დამატებით ლიტერატურაში ქართულენოვანი ლიტერატურა რომ იყოს მითითებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „პროექტის მართვის“ სასწავლო კურსში შესაძლებელია დამატებით ლიტერატურაში ქართულენოვანი ლიტერატურის მითითება. დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რჩევას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:45

დასრულების დრო: 17:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ. 1.5 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, რათა შემდგომში გაუმჯობესდეს მოცემული პროგრამების ხარისხი.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „პროექტის მართვა“ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში შეტანილ იქნას ქართულენოვანი გამოცემები.


3. რეკომენდებულია საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას (ძირითადად კამერები, მიკროფონები და მასთან დაკავშირებული ტექნიკა), რათა სტუდენტებს თანამედროვე ტექნოლოგიასთან შეხების შესაძლებლობა მიეცეთ.

რჩევები:

1. სასურველია, ყველა სასწავლო კურსზე განისაზღვროს საგნის შესაბამისი სწავლების მეთოდები;
2. სასურველია მეცადინეობების ინტეგრაცია: ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს უფრო ეფექტურად გამოიყენონ სხვადასხვა დარგში შეძენილი პრაქტიკული ცოდნა, რეალური ცხოვრების შემთხვევებში.
3. სასურველია ინდუსტრიისთვის სახასიათო ლექსიკის საგნების შეთავაზება: შეიმუშავეთ 1-2 მეცადინეობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ინდუსტრიის სპეციფიკური ტერმინოლოგიის სწავლებაზე, რათა უკეთ მოამზადოთ სტუდენტები სამომავლო სამუშაო ადგილისათვის.
4. სასურველია ტექნოლოგიური რესურსების დივერსიფიკაცია: მოახდინეთ რეაგირება სტუდენტთა სურვილზე, რომ ჰქონდეთ ტექნოლოგიების უფრო მრავალფეროვანი არჩევანი; ამ მიზნით, ინვესტიცია ჩადეთ დამატებითი აღჭურვილობისთვის, როგორებიცაა სხვადასხვაგვარი განათების აპარატურა, კინოკამერა, ლინზა და სხვა. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული უნარების ნაკრების გაფართოებას.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:09 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

